ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 8

20 იანვარი
"---"-------- 2017 წ

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი №2-ში მდებარე (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.023) შენობა-ნაგებობა №1-ის, მესამე სართულზე არსებული 3060,87 კვ.მ. ფართიდან 6 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „პლანეტა - ფორტესთვის" (ს/კ: 204388171) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივითვი თმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი №2-ში მდებარე (საკადასტრო კოდი №01.15.05.075.023) შენობა-ნაგებობა №1-ის, მესამე სართულზე არსებული 3060.87 კვ.მ. ფართიდან 6 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „პლანეტა - ფორტესთვის" (ს/კ: 204388171) გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 4 იანვრის №01.11.11 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი №2-ში მდებარე (საკადასტრო კოდი №01.15.05.075.023) შენობა-ნაგებობა №1-ის, მესამე სართულზე არსებული 3060.87 კვ.მ. ფართიდან 6 კვ.მ. ფართის (დანართი 1-ით წარმოდგენილი დაშტრიხული ნახაზის შესაბამისად) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, შპს „პლანეტა - ფორტესთვის" (ს/კ: 204388171) გადაცემაზე, პრესისა და წიგნების სარეალიზაციო ობიექტის განთავსების მიზნით.

2. შეთანხმდეს საიჯარო ქირის წლიური საფასური, 1 440 (ათას ოთხასორმოცი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5 წლის ვადით.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი